საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-15/10738
01/11/2023

10738-15-15-2-202311011710

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ რატი ბრეგაძეს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

სპეციალური პენიტენციური სამსახურის N6 დაწესებულების ცალკეულ თანამშრომელთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო რატი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა დღეის მდგომარეობით, N6 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის, [redacted] საქმე, N6 პენიტენციურ დაწესებულებაში მის მიმართ დისციპლინური წარმოების კანონის დარღვევით ჩატარების ფაქტთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ მოცემულ შემთხვევაში, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს N6 პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთა მიერ სამსახურეგრივი მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას,[1] რასთან დაკავშირებითაც საჭიროა დისციპლინური წარმოების ჩატარება.

ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრისას მსჯავრდებულმა განმარტა, რომ N3 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანის შემდეგ გაიგო N6 პენიტენციურ დაწესებულებაში მის მიმართ ჩატარებული დისციპლინური წარმოების შესახებ, რის საფუძველზეც შეზღუდული ჰქონდა სატელეფონო საუბრის უფლება 2 თვის ვადით.

[1] საქართველოს კანონი „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ", მუხლი 12, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა".

[redacted] განმარტებით, 2023 წლის 16 ივნისს, N6 პენიტენციურ დაწესებულებაში შეხვდა სასულიერო პირს, რომელმაც აცნობა მამის გარდაცვალების შესახებ. შეხვედრის შემდეგ, დაწესებულების თანამშრომლებმა პირდაპირ გადაიყვანეს N13 დეესკალაციის ოთახში, სადაც იმყოფებოდა 2023 წლის 17 ივნისის, დაახლოებით, 13:00 საათამდე.[2]

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მსჯავრდებულ [redacted] მიმართ ჩატარებული დისციპლინური წარმოების მასალები.

[redacted] 2023 წლის 16 ივნისის N01/209063 განკარგულების თანახმად, 2023 წლის 16 ივნისს, დაახლოებით 15:00 საათზე, [redacted] იმყოფებოდა ადმინისტრაციულ კორპუსში, სასულიერო პირთან შეხვედრაზე. შეხვედრის დასრულების შემდეგ, საცხოვრებელ საკანში გადაყვანის დროს, მსჯავრდებულმა განაცხადა, რომ სასულიერო პირმა აცნობა მამის გარდაცვალების შესახებ და აღელვების ნიადაგზე, დაიწყო ხელმძღვანელობის მისამართით ლანძღვა-გინება.

დისციპლინური დარღვევის ოქმი შედგენილია 2023 წლის 16 ივნისის 15:10 საათზე, ხოლო მსჯავრდებულისთვის უფლებების გაცნობის ოქმი - იმავე დღეს, 16:30 საათზე. დირექტორის განკარგულება გამოცემულია 17:43 საათზე. განკარგულების მსჯავრდებულისთვის გაცნობის ოქმზე, რომელიც თარიღდება ასევე 2023 წლის 16 ივნისით, არ არის მითითებული განკარგულების გადაცემის კონკრეტული დრო. დისციპლინური წარმოების დოკუმენტაციაზე შენიშვნის სახით მითითებულია, რომ მსჯავრდებულმა უარი განაცხადა ახსნა-განმარტების მიცემაზე, უფლებების გაცნობისა და დირექტორის განკარგულების ჩაბარების შესახებ ოქმებზე ხელის მოწერაზე.

[redacted] განმარტა, რომ მის მიმართ დისციპლინური წარმოება კანონდარღვევით ჩატარდა, რადგან არ იყო ინფორმირებული წარმოების დაწყების შესახებ, არ გააცნეს უფლებები, არ მიეცა ახსნა-განმარტების მიცემის შესაძლებლობა და არ ჩაბარებია განკარგულება კანონით დადგენილი წესით.

სახალხო დამცველის აპარატის მიმართვის[3] საფუძველზე, ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს მიერ დაარქივდა 2023 წლის 16 ივნისს, სასულიერო პირთან შეხვედრის შემდეგ, მსჯავრდებულ [redacted] მოძრაობისა და განთავსების საკნის ამსახველი სრული ვიდეო ჩანაწერი.[4]

სახალხო დამცველის რწმუნებულმა დაათვალიერა დაარქივებული ვიდეო ჩანაწერები.[5] კერძოდ, რწმუნებულმა დაათვალიერა N6 პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციული კორპუსიდან საცხოვრებელი კორპუსისკენ მიმავალი დერეფნის, 2023 წლის 16 ივნისის 14:55 საათიდან 15:10 საათამდე პერიოდის ვიდეო სამეთვალყურეო

---

[2] [redacted] შეხვედრის ოქმი, 7.07.2023.

[3] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 11 ივლისის N15-15/6727 წერილი.

[4] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2023 წლის 19 ივლისის N199473/01 წერილი.

[5] ვიდეო ჩანაწერების დათვალიერების ოქმი, 28.07.2023.

კამერების ჩანაწერი, რომელზეც ასახულია მსჯავრდებულ [redacted], N13 დეესკალაციის ოთახში გადაყვანა. ასევე, N6 პენიტენციური დაწესებულების N13 დეესკალაციის ოთახის შიდა და გარე ვიდეო სამეთვალყურეო კამერის 2023 წლის 16 ივნისის 15:00 საათიდან 00:00 საათამდე პერიოდის ამსახველი ვიდეო ჩანაწერი.

ვიდეო ჩანაწერების დათვალიერებით ირკვევა, რომ დაწესებულების თანამშრომელი, მხოლოდ ერთ შემთხვევაში შიდის დეესკალაციის ოთახში (CAM 15 deesk 13; 16:32:41 საათი) მსჯავრდებულ [redacted] ფურცლით და კალმით, რა დროსაც, აღნიშნულ ფურცელს და კალამს აძლევს მსჯავრდებულს და ეს უკანასკნელი იწყებს წერას.

სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა ინფორმაცია 2023 წლის 16 ივნისს, მსჯავრდებულის მიერ გაგზავნილი განცხადებების შესახებ.[6] N6 დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2023 წლის 16 ივნისს, მსჯავრდებულმა [redacted] განცხადებით მიმართა დაწესებულებას, განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან (მამის გარდაცვალება) დაკავშირებით თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებით დატოვების თაობაზე.[7]

ვიდეო ჩანაწერების დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ 2023 წლის 16 ივნისს, მსჯავრდებულ [redacted], დაწესებულების არცერთი თანამშრომელი შესულა და მისთვის კანონით დადგენილი წესით, უფლებები არ განუმარტავს, ახსნა-განმარტების მიცემა არ შეუთავაზებია და არც დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ განკარგულება ჩაუბარებია.

სამართლებრივი დასაბუთება

პატიმრობის კოდექსის შესაბამისად, მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთის აღსრულებისას გარანტირებული აქვს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, ამ კოდექსით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით აღიარებული უფლებები და თავისუფლებები.[8]

პატიმრებთან მოპყრობის შესახებ გაეროს მინიმალური სტანდარტული წესების თანახმად, პატიმრის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ ნებისმიერი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შესაბამის ორგანოს, რომელმაც გამოძიება უნდა დაიწყოს გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე.[9] აუცილებელია, პატიმარს დაუყოვნებლივ და მისთვის გასაგებ ენაზე მიეწოდოს ინფორმაცია მისთვის

---

[6] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 23 აგვისტოს N15-15/8439 წერილი.
[7] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N6 დაწესებულების 2023 წლის 30 აგვისტოს N239349/23 წერილი.
[8] პატიმრობის კოდექსი, მუხლი 13, ნაწილი 2.
[9] სახელმძღვანელო ნელსონ მანდელას წესების შესახებ - პატიმრებთან მოპყრობის შესახებ გაეროს განახლებული მინიმალური სტანდარტული წესების განხორციელება, წესი 41-1, გვ. 107.

წაყენებული ბრალის ხასიათის შესახებ და მიეცეს ადეკვატური დრო, მოემზადოს დაცვისთვის.[10]

პატიმარს უნდა ჰქონდეს უფლება თავად დაიცვას თავი, ან იურიდიული დახმარების საშუალებით, როდესაც ეს მართლმსაჯულების ინტერესებშია, განსაკუთრებით სერიოზული დისციპლინური სახდელის შემთხვევაში. იმ შემთხვევაში, თუ პატიმრებს არ ესმით ან ვერ ლაპარაკობენ დისციპლინური მოსმენის დროს გამოყენებულ ენაზე, მათ უნდა ისარგებლონ თარჯიმნის მომსახურება უფასოდ.[11]

ევროპული ციხის წესების თანახმად, დისციპლინური სასჯელი გამოყენებულ უნდა იქნას როგორც უკიდურესი საშუალება.[12]

ეროვნული კანონმდებლობა უნდა განსაზღვრავდეს, რომ: ა. პატიმარი დაუყოვნებლივ იყოს ინფორმირებული იმ ენაზე, რომელიც გასაგებია მისთვის და დეტალურად ჰქონდეს მიწოდებული ინფორმაცია იმ დანაშაულის შესახებ, რომელშიც ედება ბრალი; ბ. პატიმარს გააჩნდეს ადეკვატური დრო და შესაძლებლობა, რათა მოემზადოს დასაცავად; გ. პატიმარი იყოს უფლებამოსილი დაიცვას თავი თვითონ ან ადვოკატის მეშვეობით, როდესაც სამართლიანობის ინტერესები ამას მოითხოვს; დ. პატიმარი იყოს უფლებამოსილი, მოითხოვოს დამსწრეების დასწრება და მოითხოვოს მათი დაკითხვა; ე. პატიმარს გააჩნდეს თავისუფალი ხელმისაწვდომობა თარჯიმანზე, თუ მას არ შეუძლია გაიგოს ან ისაუბროს იმ ენაზე, რომელიც გამოიყენება სასამართლო მოსმენისას.[13]

დისციპლინური წარმოების დაწყებისა და წარმოების პროცესში, კანონით გათვალისწინებული უფლებების შესახებ პატიმართა ინფორმირების ანალოგიურ წესს ითვალისწინებს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობაც. კერძოდ, პატიმრობის კოდექსის მიხედვით, ბრალდებულს/მსჯავრდებულს, რომელსაც ბრალად ედება დისციპლინური დარღვევის ჩადენა, უფლება აქვს:

ა) მისთვის გასაგებ ენაზე ეცნობოს დარღვევის არსი და საფუძველი;
ბ) ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალება დაცვის მოსამზადებლად საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაში;
გ) ისარგებლოს იურიდიული დახმარებით, მათ შორის, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, ამ კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ ამას თავად მოითხოვს საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაში;
დ) მოითხოვოს დისციპლინურ განხილვაზე მოწმეთა დასწრება და დაკითხოს მოწმეები საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაში;

---

[10] იქვე, წესი 41-2. გვ. 107.
[11] იქვე, წესი 41-3, გვ. 107.
[12] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 952-ე შეხვედრაზე), პუნქტი 56,1.
[13] იქვე, პუნქტი 57,2.

ე) ისარგებლოს თარჯიმნის უფასო მომსახურებით, თუ მას არ ესმის სამართალწარმოების ენა.[14]

ბრალდებულს/მსჯავრდებულს განემარტება უფლება მისცეს ახსნა-განმარტება, წარადგინოს მტკიცებულებები, განაცხადოს შუამდგომლობა, გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით, გაასაჩივროს განკარგულება დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ.[15]

დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების 1 ასლი გამოცემისთანავე გადაეცემა ბრალდებულს/მსჯავრდებულს ან მის ადვოკატს.[16]

წინამდებარე საქმის ანალიზი

განსახილველ შემთხვევაში, საქმის სრულყოფილად შესწავლის შედეგად, ცალსახად დგინდება, რომ N6 პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებმა, კერძოდ, სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების კორპუსის ოფიცერმა, [redacted] და ამავე განყოფილების მთავარმა ინსპექტორმა, [redacted], მსჯავრდებულ [redacted] მიმართ მიმდინარე დისციპლინური წარმოების დროს, უგულებელყვეს მისი კანონით გათვალისწინებული უფლებები და არ მისცეს პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა.

სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ დათვალიერდა მსჯავრდებულ [redacted] [redacted] განთავსების საკნის ამსახველი, 2023 წლის 16 ივნისის სრული ვიდეო ჩანაწერი, მათ შორის, დროის ის მონაკვეთიც, რა დროსაც, დისციპლინური წარმოების მასალების თანახმად, [redacted] და [redacted] შეადგინეს უფლებების განმარტების ოქმი (16:30 საათი). დათვალიერებული ვიდეო ჩანაწერებით დგინდება, რომ მითითებულ დროს, მსჯავრდებულ [redacted] არავინ მიდის უფლებების განმარტების მიზნით.

ჩანაწერებში ჩანს, რომ 2023 წლის 16 ივნისს, 16:32:41 საათზე, დაწესებულების ორი თანამშრომელი შევიდა დეესკალაციის ოთახში, ერთი თანამშრომელი კართან დარჩა, მეორე თანამშრომელმა ფურცელი და კალამი მიაწოდა მსჯავრდებულს, რომელმაც იქვე, საწოლთან ჩაიმუხლა და დაიწყო წერა. დაწესებულების თანამშრომელი მსჯავრდებულს პერიოდულად აჩვენებდა ნაწერს პატარა ფურცელზე, რომელიც ხელში ეჭირა და თითქოს კარნახობდა, თუ რა უნდა დაეწერა მსჯავრდებულს. 16:38:54 საათზე მსჯავრდებულმა დაასრულა წერა, დაწესებულების თანამშრომელმა გამოართვა მას ხელნაწერი ფურცელი და გავიდა დეესკალაციის ოთახიდან.

---

[14] პატიმრობის კოდექსი, მუხლი 83.
[15] იქვე, მუხლი 84, ნაწილი 2.
[16] იქვე, მუხლი 85, ნაწილი 6.

სახალხო დამცველის რწმუნებულთან ზეპირი გასაუბრებისას, მსჯავრდებულმა არაერთხელ განმარტა, რომ მითითებულ დროს, მიუტანეს ფურცელი და კალამი, რათა დაეწერა განცხადება განსაკუთრებული, პირადი გარემოებების (მამის გარდაცვალების) გამო თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებით დატოვების თაობაზე, რაც დასტურდება ასევე N6 დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი პასუხით.[17] დისციპლინური წარმოების და უფლებების განმარტების შესახებ, როგორც თავად მსჯავრდებულმა აღნიშნა, მისთვის არაფერი უცნობებიათ.

რაც შეეხება დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ დირექტორის განკარგულების მსჯავრდებულისთვის გადაცემას, რომელიც გამოიცა 2023 წლის 16 ივნისს, 17:43 საათზე, [redacted] მიერ, იმავე დღეს, შედგა მსჯავრდებულის მიერ დირექტორის განკარგულების ჩაბარების ოქმი, რომლის შედგენის დრო არ არის აღნიშნული დოკუმენტზე. შენიშვნის სახით კი მითითებულია, რომ თითქოს მსჯავრდებულმა უარი განაცხადა დირექტორის განკარგულების ჩაბარების შესახებ ოქმზე ხელის მოწერაზე.

თუმცა, ვიდეო ჩანაწერების დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ 17:43 საათის შემდგომ, მსჯავრდებულ [redacted] დირექტორის განკარგულების ჩაბარების მიზნით არავინ მიდის. 17:43 საათიდან 00:00 საათამდე პერიოდში, მსჯავრდებულის განთავსების დეესკალაციის ოთახის კართან იყვნენ მისულები მხოლოდ სამეურნეო საქმიანობაში ჩართული პატიმარი, თანამშრომელთა თანხლებით, საკვების მიწოდების მიზნით და ექთანი, რომელმაც მსჯავრდებულს მიაწოდა, სავარაუდოდ, მედიკამენტი.

დისციპლინური დევნის პროცესში პატიმართა ინფორმირებისა და აქტიური ჩართულობის მნიშვნელობას კიდევ ერთხელ რომ გაესვას ხაზი, უნდა აღინიშნოს, რომ N6 დაწესებულების თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არაკეთილსინდისიერად შესრულების გამო, მსჯავრდებულ [redacted] არ მიეცა დირექტორის განკარგულების სასამართლოში გასაჩივრების მექანიზმით სარგებლობის შესაძლებლობა. მსგავსი მანკიერი პრაქტიკის დანერგვა კი დააბრკოლებს პატიმართა უფლებების რეალიზაციას და სრულიად უმოქმედოს გახდის დირექტორის გადაწყვეტილებებზე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სასამართლო კონტროლის მექანიზმს.

აქვე აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის აპარატს შესწავლილი აქვს პენიტენციურ დაწესებულებებში მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა მიმართ ჩატარებული დისციპლინური წარმოების პროცესი, რა დროსაც გამოვლინდა არაერთი სამართლებრივი და პრაქტიკული ხარვეზი. აღნიშნულზე საუბარია სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში, სადაც გაიცა არაერთი რეკომენდაცია დისციპლინური წარმოების დროს

[17] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N6 დაწესებულების 2023 წლის 30 აგვისტოს N239349/23 წერილი.

პატიმართა ჩართულობის, ინფორმირებისა და მათი უფლების მაქსიმალურად რეალიზების შესახებ.[18]

მიუხედავად ამისა, პენიტენციურ სისტემაში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების პროცედურა, ხშირად უშუალოდ პატიმრის ჩართულობის, ზეპირი მოსმენისა და ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების გარეშე მიმდინარეობს. ხშირად, პატიმრებს ამ პროცესში ჩართულობისა და მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა არ აქვთ. აღნიშნულ საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სახალხო დამცველის აპარატის ანგარიშებშიც.[19]

დასკვნა

ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში, N6 პენიტენციური დაწესებულების პასუხისმგებელი თანამშრომლების მხრიდან გამოვლენილი დამოკიდებულება ვერ შეუწყობს ხელს პენიტენციურ სისტემაში ადამიანის უფლებების ეფექტიან დაცვასა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიმართ საზოგადოებაში ნდობის განმტკიცებას. აღნიშნული ფაქტები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ სამწუხაროდ, პენიტენციურ დაწესებულებებში, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში, ხშირად ირღვევა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებები.

წინამდებარე საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და კანონმდებლობის ანალიზის შედეგად მიგვაჩნია, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის N6 დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის კორპუსის ოფიცერმა, [redacted] და ამავე განყოფილების მთავარმა ინსპექტორმა, [redacted] არაჯეროვნად შეასრულეს სამსახურებრივი მოვალეობა, რომლის შედეგად, მსჯავრდებულ [redacted] არ მიეცა მის მიმართ ჩატარებული დისციპლინური წარმოების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა, არ გაეცნო უფლებები, არ მიეცა ახსნა-განმარტების მიცემის შესაძლებლობა და არ გადაეცა დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ დაწესებულების დირექტორის განკარგულება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, დაიწყოთ დისციპლინური წარმოება [redacted] და ამავე განყოფილების მთავარი ინსპექტორის, [redacted] მიმართ.

---

[18] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის სპეციალური ანგარიში „პატიმართა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკა საქართველოში“. ხელმისაწვდომია: <http://www.ombudsman.ge/res/docs/2019110509560299657.pdf>

[19] მაგ. იხ., საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში, 107.

ამასთან, გთხოვთ, წინამდებარე წინადადების განხილვის შედეგები გვაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი